უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №11

ქ. თბილისი 18.11.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მანანა მიქაბერიძე - სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ანანო გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, საბჭოს სხდომის მდივანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
გრიგოლ მურღულია - განათლების ექსპერტი;
მარიამ ჯაში - ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
მარიამ შოშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. დალი ბერანძე - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო სამეცნიერო სამსახურის უფროსი;
2. ხათუნა გაბიცინაშვილი - შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის პრორექტორი;
3. ნინო ბერძენიშვილი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტი;
4. რომან ჯახიაშვილი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიის პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი;
5. ირაკლი მორგოშია - შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის რექტორი;
6. თამარ გიორგობიანი - შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ხარისხის სამსახურის უფროსი;
7. ირინა ინწკირველი - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის

პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის მოადგილე;

8. ია მოწყობილი - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ასისტენტ პროფესორი.

სხვა დამსწრე პირები:

მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე; საბჭოს მოწვეული წევრი, სათათბირო ხმის უფლებით.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ციური დურული;
თეა ნადირაძე;
მარინა გედევანიშვილი;
რევაზ ხოფერია;
ქეთევან ჯანელიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 14:20 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 21 აგვისტოს №260 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
2. ,,შპს ქართულ-ევროპული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 1 აგვისტოს №6 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
3. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა მიქაბერიძემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია და აღნიშნა, რომ ის მიიღებდა მონაწილეობას დაწესებულებებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხების განხილვაში, სათათბირო ხმის უფლებით.

1. „ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 21 აგვისტოს №260 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო დაწესებულების წერილობითი შუამდგომლობა. მან აღნიშნა, რომ „ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 21 აგვისტოს №260 გადაწყვეტილებით, დაწესებულებას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 2000 სტუდენტით, მათ შორის 700 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების სურვილი იყო სტუდენტთა დადგენილი კვოტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა 1000 პროფესიულ სტუდენტამდე გაზრდილიყო.

საბჭოს წევრების განცხადებით, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ შემდგომში დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობები გამყარებული ყოფილიყო კონკრეტული მტკიცებულებებით. ამასთან, საბჭოს წევრმა, მარიამ ჯაშმა განმარტა, რომ დაწესებულებას წერილობით შუამდგომლობაში სათანადო არგუმენტაცია უნდა მოეყვანა, თუ რის საფუძველზე ითხოვდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდას. ლაშა მარგიშვილის განმარტებით, ცენტრი მზად იყო რეკომენდაციების გაზიარებისათვის.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 21 აგვისტოს №260 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების 1000 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 6
წინააღმდეგი- 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა - გრიგოლ მურღულიამ.

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000-ით.

2. „შპს ქართულ-ევროპული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 1 აგვისტოს №6 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „შპს ქართულ-ევროპული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 1 აგვისტოს №6 გადაწყვეტილებით შპს ქართულ-ევროპულ უმაღლეს სასწავლებელს სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად განესაზღვრა 440 სტუდენტი, მათ შორის 44 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების სურვილი იყო სტუდენტთა დადგენილი კვოტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა 90 პროფესიულ სტუდენტამდე გაზრდილიყო. წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება ახორციელბდა 8 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ავტორიზაციის მინიჭებისას განსაზღვრული 44 ადგილი პროფესიული სტუდენტისათვის, აღარ იყო საკამარისი. ამასთან, სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა ქვეყანაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და დაწესებულების სურვილი იყო თავისი წვლილი შეეტანა ამ პროცესში, მით უფრო რომ დამფუძნებლები უცხოელები იყვნენ და მათ სტუდენტებს მეტი ხელშეწყობა ექნებოდათ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილობის კუთხითაც.

საბჭოს წევრი, მარიამ ჯაში დაინტერესდა, ემყარებოდა თუ არა დაწესებულების მოთხოვნა კვლევის შედეგებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ჯერ არ იყო სრულყოფილად შეჯამებული. მისი თქმით, დაწესებულების კურსდამთავრებულთა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ დასაქმების ას პროცენტიანი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა სამედიცინო მიმართულების პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულების შემთხვევაში.

მარიამ ჯაშის თქმით, მნიშვნელოვანი იყო, რომ დაწესებულებების გადაწყვეტილებები შესაბამისი კვლევის ანალიზს დაფუძნებოდა..

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს ქართულ-ევროპული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 1 აგვისტოს №6 გადაწყვეტილებაში ცვლილებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების 90 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 6
წინააღმდეგი- 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა - მარიამ ჯაშმა.

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შპს ქართულ-ევროპულ უმაღლეს სასწავლებელს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

3. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციური დურულმა და ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თეა ნადირაძემ. ციური დურულის განცხადებით, დაწესებულებამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიურ ანგარიშში გამოხატა ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების სურვილი.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო დადებითი და დაწესებულებას ჰქონდა შესაბამისი რესურსი აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად. ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამებოდა ავტორიზაციის სტანდარტებს.

თეა ნადირაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების შრომით ხელშეკრულებებში არ იყო კანონმდებლობით განსაზღვრული არსებითი პირობები გაწერილი, თუმცა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პროცესში აღნიშნული საკითხი გამოსწორდა.

საბჭოს თავმჯდომარმ, მანანა მიქაბერიძემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ნაყოფიერი მუშაობისა და თანამშრომლობითი გარემოს შექმნისათვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას დიდი სამომავლო გეგმები ჰქონდა და სურდა თავისი ადგილი დაეკავებინა ინფორმაციული ტექნოლოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის. მისი თქმით, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორია, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ინფორმაციული ტექნოლოგიის განვითარებისათვის.

მანანა მიქაბერიძემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებისა და დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ.

საბჭოს წევრი, ანანო გიორგაძე დაინტერესდა, კონკურსის მეშვეობით მოხდა თუ არა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა.

თეა ნადირაძის განმარტებით, დაწესებულების წესდებაში განსაზღვრული იყო მასწავლებლის თანამდებობის დაკავების წესი, რომელიც მოიცავდა რექტორის სამართლებრივი აქტით საკონკურსო წესით ან მის გარეშე შერჩევას. მოცემულ შემთხვევაში მასწავლებლის თანამდებობების დაკავება მოხდა კონკურსის გარეშე, თუმცა ყველა ეს პირი აკმაყოფილებდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, დაწესებულებას არ გააჩნდა ვალდებულება ჩაეტრებინა კონკურსი, განსხვავებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების შერჩევის შემთხვევისაგან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი პირის მიღება სურდა დაწესებულებას ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას სურდა 15 პროფესიული სტუდენტის მიღება აღნიშნულ პროგრამაზე.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, მამია ჯანჯალიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ შესაბამისი ფართის ქონის შემთხვევაში, უმჯობესი იქნებოდა თუ დაწესებულება 30 პროფესიული სტუდენტის მიღების სურვილს გამოხატავდა და სწავლებას განახორციელებდა ორ ცვლაში. დაწესებულების წარმომადგენლებმა გაიზიარეს საბჭოს წევრის მოსაზრება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისათვის ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 200002120) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ინფორმაციული ტექნოლოგი	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35

საბჭოს სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა, მარიამ ჯაშმა და გრიგოლ მურღულიამ.
საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 15:15 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 15:20 საათზე.

4. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მარინა გედევანიშვილმა. მისი თქმით, დაწესებულებას სურდა დაემატებინა ორი ახალი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: 1. ბიზნესის ადმინისტრირება; 2. საერთაშორისო ურთიერთობები. ექსპერტის განმარტებით, ბიზნესის ადმინისტრირებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით ბიზნესის საფუძვლების, ან ბიზნესის თეორიის სწავლება გათვალისწინებული არ იყო, რაც ექსპერტთა მოსაზრებით არ იყო მართებული, მითუმეტეს, რომ პროგრამის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭებოდა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია;

1.2 საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი იყო სტუდენტს მისცეს ღრმა ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობებში („deep knowledge") და განუვითაროს სამეცნიერო კვლევის საბაზო უნარები („develop basic scientific skills"), რაც შეიძლებოდა ყოფილიყო სამაგისტრო და არა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ქართულად თარგმნილ ვერსიაში მსგავსი ჩანაწერი არ ფიქსირდებოდა. სწავლის შედეგის (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი) მიხედვით, სტუდენტს შეუძლია მონაცემთა შეგროვება, მათი სინამდვილის შემოწმება და პრაქტიკაში გამოყენება („Is able to collect database, to check their reliability and use them in practice"). კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემთა შეგროვება არის არა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, არამედ დასკვნის უნარი; სწავლის შედეგში (დასკვნის უნარი), ფიქსირდებოდა, რომ კურსდამთავრებულს ჰქონდა დებატებში მონაწილეობის უნარი („Has skills to take part in debates"). კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, ეს არის არა დასკვნის უნარი, არამედ კომუნიკაციის უნარი; სწავლის შედეგებში (კომუნიკაციის უნარი) მითითებული იყო, რომ სტუდენტი შეძლებდა კომუნიკაციას ერთ-ერთ უცხო ენაზე, კერძოდ, B1 დონეზე. თუმცა, არ იყო მითითებული რომელი უცხო ენა იგულისხმებოდა. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, კურსდამთავრებულმა უნდა შეეძლოს ინფორმაციის გადაცემა ქართულად და ინგლისურად. პროგრამის მიხედვით, გარდა ინგლისურისა, სავალდებულოდ ისწავლებოდა კიდევ ერთი უცხო ენა: გერმანული, რუსული, ესპანური, არაბული, სტუდენტის არჩევანის გათვალისწინებით. რადგან პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ითვალისწინებდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღებას, რომლებიც არ ფლობდნენ ქართულ ენას ხოლო ქართული ენის

სწავლება პროგრამით გათვალისწინებული არ იყო. ექსპერტთა მოსაზრებით, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში მითითებული შედეგის მიღწევა ვერ იქნებოდა შესაძლებელი; მსგავსი ჩანაწერი იყო ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაშიც „Can conduct both verbal and non-verbal communication in a wide spectrum of society in English and one of the foreign language";

1.3 საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული იყო, რომ კურსდამთავრებული შეძლებდა დასაქმებას სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროში. აღსანიშნავია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას. ამდენად, ჩანაწერი უცხო ქვეყნის მოქალაქე კურსდამთავრებულის შესაძლო დასაქმებასთან დაკავშირებით საჭიროებდა დაზუსტებას იმ მიზნით, რომ გამორიცხულიყო პროგრამით დაინტერესებული პირის შეცდომაში შეყვანა;

1.4 ორივე პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მითითებული იყო, რომ პროგრამაზე დაიშვება საქართველოს მოქალაქე ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე ან მისი ეკვივალენტური განათლების საფუძველზე (ეს შეიძლება გაგრძელდეს 2 აკადემიური წლის განმავლობაში) (Georgian citizen with a general certificate of secondary education (GCSE) or equal obtained abroad (it may be last two academic years). აღნიშნული ჩანაწერიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უცხოეთში მიღებული ერთწლიანი განათლებაც საკმარისი იქნებოდა. გარდა ამისა, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში მითითებული არ არის „აკადემიური წელი";

1.5 ორივე პროგრამაში მითითებული იყო პროგრამებზე მიღების დამატებითი პირობა (Additional admission to the program). კერძოდ: „The Order of Minister of Education and Science №10/Napproved (4.02.2012), about "the mobility from one higher education institution to another with its approved rules and fees" according to students mobility procedures; student who lived abroad during the last two years or more and studied in accredited universities can take part in mobility procedures." აღსანიშნავია, რომ ბრჭყალებში მითითებული წინადადების ბოლო ნაწილი კანონმდებლობით აღარ არის გათვალისწინებული. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების ასეთი წინაპირობა აღარ არსებობს 2013 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე;

1.6 როგორც პროგრამებზე მიღების წინაპირობაში ვკითხულობთ: საქართველოს მოქალაქეებისთვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაში მიღებული შეფასება უნდა შეადგენდეს 50% + 1. ორივე პროგრამით I და II სემესტრებში გათვალისწინებულია ინგლისური –1–ის (B2) და ინგლისური -2 –ის (C1) დონეზე სწავლება. ვინაიდან, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პროგრამებზე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის ინგლისურენოვან მოქალაქეებსაც, სასურველია მათთვის ინგლისური –1–ისა და ინგლისური -2 –ის ნაცვლად პროგრამაში გათვალისწინებულ ყოფილიყო ალტერნატიული სასწავლო კურსები;

1.7 ორივე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული იყო საბაკალავრო ნაშრომის მომზადება, ხოლო პრაქტიკა გათვალისწინებული არ იყო, რაც ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა;

1.8 ორივე პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მოცულობა სტანდარტულად 5–კრედიტს შეადგენდა. არსებითად მსგავსი იყო სტუდენტის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. ექსპერტთა მოსაზრები, მიზანშეწონილი იქნებოდა სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა, სტუდენტის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განსაზღვრულიყო საგნის მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით;

1.9 უზუსტობები ფიქსირდებოდა სილაბუსებშიც, შესაბამისად კომპეტენციათა რუქებშიც, მაგალითად: ა) ინგლისური და გერმანული ენები კურსდამთავრებულს დასკვნის უნარს უვითარებდა ხოლო რუსული, ესპანური და არაბული ენები – არა; ბ) თუ ინგლისური ენა –1 სტუდენტს სწავლის უნარს უვითარებდა, რატომ არ განუვითარებდა იგივე უნარს ინგლისური ენა–2; გ) თუ რუსული ენა 1,2,3,4; გერმანული ენა 1,2,3,4; ესპანური ენა –1,2,3,; არაბული ენა 1,2,3,4 სტუდენტს სწავლის უნარს განუვითარებს, რატომ არ განუვითარებს იგივე უნარს ესპანური ენა–4; დ) რატომ არ განუვითარებდა სწავლის უნარს „აკადემიური წერა".

1.10 რადგან „შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიას" სურვილი აქვს განახორციელოს ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები, უცხოელ სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობის მიზნით, სასურველი იქნებოდა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან კავშირების დამყარება და მემორანდუმების გაფორმება.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2.1 ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული 4 (ოთხი) პროფესორი და 20 (ოცი) მოწვეული ლექტორი ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული 5 (ხუთი) პროფესორი და 22 (ოცდაორი) მოწვეული ლექტორი. ექსპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები, მათი კვალიფიკაციის, სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია. ინგლისური ენის ფლობის დასადასტურებლად პროფესორთა უმრავლესობას წარმოდგენილი ჰქონდა ინგლისური ენის სერთიფიკატები/საზღვარგარეთ მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომი/ცნობა „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში" ინგლისურ ენაზე კონკრეტული სასწავლო კურსების წაკითხვის გამოცდილების შესახებ. თუმცა, ფიქსირდებოდნენ ისეთებიც, რომლებსაც ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტები არა ჰქონდათ წარმოდგენილი. იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ლექტორებს კონკრეტული სასწავლო კურსის/კურსების წაკითხვის გამოცდილება არა ჰქონდათ, მაგრამ გააჩნდათ ამ სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება/საერთაშორისო სერთიფიკატები/არიან შესაბამისი მიმართულების დოქტორანტები. ე.ი. სულ ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობდა 2 ასოცირებული, 2 ასისტენტ-პროფესორი და 20 (ოცი) მოწვეული ლექტორი ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში - 3 ასოცირებული, 2 ასისტენტ - პროფესორი და 22 (ოცდაორი) მოწვეული ლექტორი;

2.2 2015 წელს გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: განცხადებაში ვკითხულობთ:

2.2.1. „გამოცხადდეს კონკურსი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან პროგრამაზე შემდეგი მიმართულებით: ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, საბუღალტრო აღრიცხვა, მენეჯმენტი;

2.2.2. საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვან პროგრამაზე შემდეგი მიმართულებით: საერთაშორისო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ეკონომიკა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალის" შესაბამისად: ა) ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, საბუღალტრო აღრიცხვა, მენეჯმენტი, საერთაშორისო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ეკონომიკა მიმართულებები არ არის;

ბ) ფინანსები, მარკეტინგი, საბუღალტრო აღრიცხვა და მენეჯმენტი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებაში შემავალი დარგები/სპეციალობებია;
გ) ეკონომიკა და საერთაშორისო ურთიერთობები სოციალური მეცნიერებების მიმართულებაში შემავალი დარგები/სპეციალობებია ხოლო საერთაშორისო ეკონომიკა ამავე მიმართულებაში შემავალი ქვედარგი/სპეციალიზაციაა;
დ) რაც შეეხება საერთაშორისო პოლიტიკას, ის არც მიმართულებაა, არც დარგი/სპეციალობა და არც ქვედარგი/სპეციალიზაცია.
ე) ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, საკონკურსო განცხადებაში მითითებული მიმართულება, დარგი/სპეციალობა და ქვედარგი/სპეციალიზაცია შეესაბამებოდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალს".

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა მიქაბერიძემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხდა ექსპერტთა ჯგუფს ნაყოფიერი მუშაობისათვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება ახალი დაფუძნებული იყო და მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ექსპერტთა შენიშვნები და რეკომენდაციები. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ დასკვნაში დაფიქსირებული გარკვეული მოსაზრებები. კერძოდ, მოხდა ტექნიკური ხასიათის უზუსტობების ჩასწორება, ქართული და ინგლისური თარგმანი ერთმანეთთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში მოხდა ახალი სასწავლო კურსის დამატება, რომელიც მოიცავს ბიზნესის საფუძვლებისა და ბიზნესის თეორიის სწავლებას. ვიზიტის შემდეგ გაძლიერდა მუშაობა მემორანდუმების კუთხითაც, დაწესებულება აწარმოებდა მოლაპარაკებას იტალიისა და მოლდოვის უნივერსიტეტებთან და თვის ბოლოს მოხდებოდა მემორანდუმების გაფორმება. ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტთან უკვე გააფორმა დაწესებულებამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. აკადემიურ პერსონალთან მიმართებით, დაწესებულება არ არღვევდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მოწვეული აკადემიური პერსონალის სიმრავლე, არ წარმოადგენდა სტანდარტის დარღვევას და რაც შეეხებოდა აღნიშნული პერსონალის კვალიფიკაციასა და სამუშაო გამოცდილებას, მოხდებოდა ახალი პერსონალიც მოწვევაც, საბაკალავრო პროგრამებისათვის ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა ფორმით ამოწმებდა დაწესებულება მათთან ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონეს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უცხოელი სტუდენტები გაივლიდნენ შესაბამის ტესტირებას და არნიშნულის საფუძველზე დადგინდებოდა მათი ცოდნის დონე ინგლისურ ენაში.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ინგლისურ ენაზე სწავლების განხორციელების უფლებამოსილება. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა შესაბამისი ნებართვა მოპოვებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან.

საბჭოს წევრი, დავით აფრასიძე დაინტერესდა, თუ რა ხანგრძლივობის კონტრაქტები იყო დადებული დაწესებულების მიერ მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან და როგორ იყო განსაზღვრული მათი ანაზღაურების საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან ხელშეკრულებები დადებული იყო 5 წლის ვადით და ანაზღაურება განისაზღვრებოდა აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვის საფუძველზე.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, ინტერვიურების პროცესში თუ გამოიკვეთა აკადმიური პერსონალის ჩართულობა სასწავლო კურსების სილაბუსების შემუშავების პროცესში. აღნიშნული საკითხი ექსპერტებმა დაადასტურეს.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტი სწავლობდა დაწესებულებაში. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს 12 სტუდენტი იყო მობილობის წესით გადმოსული, ხოლო ამჟამად 22 სტუდენტი ირიცხებოდა. დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ამა წლის მაისის თვეში მოიპოვა ავტორიზაცია და შესაბამისად, წელს ვერ მიიღებდა მონაწილეობას ერთიან ეროვნულ გამოცდებში.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე დაინტერესდა, აპირებდა თუ არა დაწესებულება აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციოდ წარდგენას, თუ მათი განხორციელება მოხდებოდა მხოლოდ ავტორიზებულ რეჟიმში. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება გეგმავდა აღნიშნული პროგრამების სააკრედიტაციოდ წარდგენას.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 16:20 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:35 საათზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული საკითხიც გასწორდა და შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიისათვის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიისათვის საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 405051786) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განხორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
ბაკალავრიატი	საერთაშორისო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი)	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში

5. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციური დურულმა. მისი განმარტებით, დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის უფლებამოსილი ორგანოს - სენატის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამაში განსაზღვრული იყო მისაღწევი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსები. პროგრამა იყო 78 კრედიტის მოცულობის და შედგებოდა 24 მოდულისაგან (მათგან სავალდებულო ზოგადი-6, სავალდებულო პროფესიული - 12, არჩევითი პროფესიული - 3) სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობად -14 სასწავლო თვე (56 კვირა) იყო განსაზღვრული. პროგრამის სასწავლო გეგმა შედგენილი იყო კურაციული სისტემით და ითვალისწინებდა მოდულებით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობებს. კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამებოდა კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი კონკურსის წესით იქნა შერჩეული. დაწესებულების მატერიალური რესურსი სრულად აკმაყოფილებდა პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან აღნიშნული პროგრამა მოდულური იყო და მთლიანად ჩარჩო-დოკუმენტს ეფუძნებოდა, ამ ეტაპზე რთული არ იყო მისი შემოწმება, რადგანაც ყველაფერი წინასწარ იყო განსაზღვრული. თუმცა, როდესაც დაწესებულება დაიწყებდა პროგრამის განხორციელებას, მას მოუწევდა მონიტორინგის ეტაპის გავლაც, რომლის დროსაც მტკიცებულებებით უნდა მომხდარიყო მის მიერ მიღებული თითოეული გადაწყვეტილების გამყარება.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, მამია ჯანჯალიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ შეფასების სიტემა საჭიროებდა კარგად გააზრებას, მისი ჩაშლა უნდა მომხდარიყო რამდენიმე ეტაპად და მნიშვნელოვანი იყო პროფესიულ კვალიფიკაციათა ხელშეწყობის პროგრამის განმახორციელებელ პირებთან თანამშრომლობა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები თავადაც ჩართულნი იყვნენ მოდულური პროგრამების დანერგვის პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი პირის მიღება სურდა დაწესებულებას კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას სურდა 15 პროფესიული სტუდენტის მიღება აღნიშნულ პროგრამაზე.მანანა მიქაბერიძემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებისა და დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისათვის კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1.	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი	მესამე	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	78	15

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 16:55 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
მანანა მიქაბერიძე

მდივანი
ანანო გიორგაძე